სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 30 იანვრის

სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, ციცინო ცხვედიანი, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) სოფიკო ხუციშვილის, ზურაბ კუთხაშვილის, დარიკო თურმანაულის განცხადებებს გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად,

სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიკო ხუციშვილის, ზურაბ კუთხაშვილის, დარიკო თურმანაულის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) როსტომ ცინცაძის 2020 წლის 29 იანვრის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე და თანდართულ დოკუმენტებს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იყო 2010 წლის 6 მარტს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2020 წლის 28 იანვარს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, როსტომ ცინცაძე 2005 წლის 26 ივლისიდან 2020 წლის 28 იანვრის მდგომარეობით მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ბათუმის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების გამომძიებლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლის თანამდებობებზე. განმცხადებელი ითხოვდა გაწევრიანებას და წევრობის შეჩერებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც ადვოკატის სტატუსის მოპოვებისათვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად სავალდებულოა 1-წლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და 9 თვიანი სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი).

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ როსტომ ცინცაძე არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმად გასაწევრიანებელ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის 1-წლიანი პროგრამა. აქედან გამომდინარე, როსტომ ცინცაძის განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს როსტომ ცინცაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

ნინო ორჯონიკიძის 2020 წლის 24 იანვრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017-2019 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. ამჟამად, მის მიერ გადახდილი იყო 2017 წლის საწევრო დავალიანება და ითხოვდა რამოდენიმე თვეს 2019 წლის საწევრო დავალიანების გადასახდელად და წევრობის აღდგენას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო ორჯონიკიძის განცხადებას თან ერთვოდა 2017 წლის საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და საჭირო დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაში იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ორჯონიკიძის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება და 2019 წლის 24 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ნინო ორჯონიკიძის მიმართ არსებული 2019 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 1 მარტი.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **მიხეილ დაუშვილი;** <u>2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრი</u>: **შოთა ქემაშვილი.**

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი

განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მიხეილ დაუშვილის და შოთა ქემაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - შოთა ქემაშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის მიერ 1 წევრი კანდიდატის წარდგინების თაობაზე საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2020 წლის 22 იანვარს გამოცხადებული ღია კონკურსის შესახებ, რომელიც შეეხებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26^1 მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის და 23^2 მუხლების შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შერჩევას.

კერძოდ, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 2^1 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, ასოციაციის მიერ, ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (www.gba.ge), იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად გამოცხადდა ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2020 წლის 28 იანვრის 18:00 საათამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ერთმა პირმა - ადვოკატმა პავლე აბაიაძემ და კონკურსით გათვალისწინებულ ვადაში წარმოადგინა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 2[1] პუნქტის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად ადვოკატთა ასოციაციის მიერ უნდა შეირჩეს მაღალი რეპუტაციის მქონე ადვოკატი, რომელსაც აქვს საადვოკატო საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადვოკატი პავლე აბაიაძე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს მისი არჩევის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები გაეცნენ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და განხილვის შედეგად, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად, 3 წლის ვადით, არჩეულ იქნეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი პავლე აბაიაძე (სიითი N2503).**

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტის განხილვა და დამტკიცება

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტს (დანართი 1).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის და ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 6. სამართლის ექსპერტთა ჯგუფის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ მსჯელობა

წევრები გაეცნენ სამართლის ექსპერტთა ჯგუფის განახლებულ შემადგენლობას (დანართი 2). ასევე, მათ იმსჯელეს ჯგუფის შემადგენლობის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური და აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება მოხდეს მხოლოდ ადვოკატთა

საკვალიფიკაციო გამოცდების ადმინისტრირების მიზნებისათვის, აუცილებლობის შემთხვევებში.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- **დამტკიცდეს სამართლის ექსპერტთა ჯგუფის განახლებული შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2);**
- **სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს როგორც - კონფიდენციალური.**

საკითხი 10. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ამირან ჩიხლაძის 2020 წლის 28 იანვრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, განცხადებაში ითხოვდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ამირან ჩიხლაძის 2020 წლის 28 იანვრის განცხადება და იგი გათავისუფლებულ იქნას 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

(ბ) ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიას (დანართი 3).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

დავით ასათიანი

თავმჯდომარე